განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 20 სექტემბერი, 2019

დასკვნის წარდგენის თარიღი: 30 ოქტომბერი, 2019

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212693049
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი 0413
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	რუსუდან სეთურიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თეა კასრაძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	რუსუდანი ზაზაძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს ღრმა და სისტემური ცოდნა ცვალებად გარემოში მიმდინარე ბიზნეს პროცესების აღქმის, ანალიზის, სიტუაციათა შეფასების, მართებული მმართველობითი გადაწყვეტილების შემუშავებისა და გუნდში ეფექტიანი მუშაობით მისი განხორციელების გზების შესახებ კომპანიის საქმიანობის ეფექტიანი ადმინისტრირებისთვის. ასევე, გამოუმუშაოს პრაქტიკული უნარები ბიზნეს სექტორში არსებული პრობლემების იდენტიფიცირების და გადაწყვეტის თანამედროვე გზების ძიების, უახლესი მეთოდების გამოყენებით და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვით ინდივიდუალური კვლევების ჩასატარებლად.

ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამა 120 ECTS კრედიტს მოიცავს, სადაც 96 კრედიტი სავალდებულო სასწავლო კურსებია, ხოლო 24 კრედიტი არჩევითი სასწავლო კურსები/თავისუფალი კრედიტები.

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრატურის პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2012 წლის 19 აპრილს (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს N75, 19.04.2012 გადაწყვეტილება). განმეორებით აკრედიტაციაზე წარდგენილი იყო 2018 წელს, თუმცა, 2019 წლის 9 იანვრის აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით მას მიენიჭა ერთწლიანი პირობითი აკრედიტაცია.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 20 სექტემბერს. ვიზიტამდე, 19 სექტემბერს, შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი (რუსუდან სეთურიძე, თეა კასრაძე, რუსუდან ზაზაძე), სადაც მიმდინარეობდა თვითშეფასების ანგარიშის განხილვა. განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა მომდევნო დღეს პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

20 სექტემბერს აღნიშნულ დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში 9:30 საათიდან დაიწყო სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან. ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია სტანდარტებთან, ვინაიდან სტანდარტის 1.1 კომპონენტი

შეფასდა, როგორც შესაბამისობაში მოთხოვნებთან, ხოლო 1.2 კომპონენტი კი მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან. მეორე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, ვინაიდან სტანდარტის 2.2, 2.3, 2.4 და 2.5 კომპონენტები მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 2.1, და 2.6 კომპონენტი კი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. მესამე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ვინაიდან 3.1 და 3.2 კომპონენტები შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. მეოთხე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ვინაიდან 4.1, 4.2, 4.3 და 4.4 კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მეხუთე სტანდარტი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, სადაც 5.1, 5.2 და 5.3 კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამა მოქმედია, ჰყავს სტუდენტები, კურსდამთავრებულები, რომელთა ნაწილი სწავლას აგრძელებს განათლების შემდგომ საფეხურზე, ხოლო ნაწილი დასაქმებულია პროფილის მიხედვით, პროგრამა უზრუნველყოფილია აკადემიური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით, არის სიცოცხლისუნარიანი და ექვემდებარება განვითარებას.

რეკომენდაციები

1. პროგრამის სწავლის შედეგები გადამუშავებას საჭიროებს „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობის“ ნაწილში.
2. საჭიროა პროგრამაში კრედიტების განაწილებასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია შესაბამისობაში მოვიდეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის (№69/ნ, 10.04.2019) „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ ბრძანებასთან.
3. ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრატურის პროგრამის სწავლის შედეგების („დაწერონ და წარადგინონ კვლევის შედეგების თემატური და სრული ანგარიში როგორც აკადემიური, ისე ბიზნეს სექტორში ჩართული სუბიექტებისთვის“) უკეთ უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდირებულია „სამეცნიერო წერის“ სასწავლო კურსი არჩევითი სასწავლო კურსებიდან გადატანილი იქნას სავალდებულო სასწავლო კურსების ნაწილში. ასევე გასასწორებელია არჩევით სასწავლო კურსების ნაწილში დუბლირებული სასწავლო კურსი „ბრენდინგი“, რომელიც პროგრამაში მოცემულია, როგორც II.7, ასევე II.14 ნომრად.
4. გადაიხედოს ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული ძირითადი ლიტერატურა, რათა ისინი შეესაბამებოდნენ კურსის მიზანსა და სწავლების საფეხურს.
5. უსდ-მ მეტი ყურადღება დაუთმოს სტუდენტთა მიერ სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში გამოყენებულ ლიტერატურას.
6. უსდ-მ უზრუნველყოს სასწავლო კურსების სწავლება-სწავლის მეთოდების და აქტივობების „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის №3 ბრძანების შესაბამისად ფორმულირება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ვინაიდან უსდ პროგრამაზე დაშვების წინაპირობად ითხოვს უცხო ენის B2 დონეზე ცოდნას, სასურველია როგორც ძირითად, ისე არჩევით სასწავლო კურსებში დაემატოს უცხოენოვანი ლიტერატურა. უფრო მეტიც, კარგი იქნება თუ სტუდენტებისათვის, თუნდაც არჩევითი სასწავლო კურსების ნაწილში, მოხდება უცხოენოვანი სასწავლო კურსების შეთავაზება;
- სასურველია სასწავლო კურსის „საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი“ პრაქტიკულ ნაწილში დამატებით მოხდეს სტუდენტებისათვის რომელიმე ERP სისტემის (APEX-ERP, 1C-საწარმო, Navision და სხვა) შესწავლა.
- სასურველია სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, ყოველკვირეულად იყოს შესაძლებელი სტუდენტის შეფასებების ასახვა ელექტრონულ პორტალზე.
- სასურველია მოხდეს წამახალისებელი ღონისძიებების გატარება სტუდენტთა სწავლებისა და აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად სტდენტის მიერ ჩამოყალიბებული პრიორიტეტების გათვალისწინებით.
- სასურველია გაიზარდოს საორიენტაციო შეხვედრები სტუდენტებთან, რომელიც დაეხმარება სტუდენტებს მეტი გაიგონ იმ შესაძლებლობების შესახებ, რომელსაც უნივერსიტეტი აძლევს პროგრამაზე სწავლების პროცესში (საერთაშორისო პროექტები, ღონისძიებები, კონფერენციები, კვლევებში მონაწილეობა და სხვა აქტივობები).
- სასურველია გააქტიურდეს ახლად დაარსებული სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახური, რათა უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს დამსაქმებლებთან თანამშრომლობას და ამ თანამშრომლობის შედეგად კურსდამთავრებულების დასაქმებას რეგიონში.
- სასურველია მოხდეს საერთაშორისოდ აღიარებული ერთ-ერთი ტიპის აკადემიური სტილის (მაგ. ჩიკაგოს სტილი და ა.შ.) შემოღება სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში.
- სასურველია სტუდენტებს პერიოდულად დაეგზავნოთ ინსტრუქციები ელექტრონული სამეცნიერო ბაზების სარგებლობის შესახებ.

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

რეაკრედიტაციაზე წარმოდგენილ პროგრამაში გათვალისწინებულია, როგორც უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტებისა და აკრედიტაციის საბჭოზე სპეციალურად მიწვეული ექსპერტის, ისე შიდა (აწსუ პროფესორი) და გარე ექსპერტის (თსუ ასოცირებული პროფესორი) რეკომენდაციები და რჩევები.

პროგრამის შედეგები ჩამოყალიბდა დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების, სტუდენტების და აკადემიური პერსონალის ერთობლივი მსჯელობის შედეგად.

პროგრამაში განხორციელდა შემ დეგი ცვლილებები:

1. გაუქმდა პროგრამით გათვალისწინებული კონცენტრაციები;

2. პროგრამაში დაკონკრეტდა შიდა და გარე მობილობის შესაძლებლობები და მოთხოვნები, დაემატა ფრაზა: „დასაშვებია სტუდენტთა შიდა და გარე მობილობის წესით ჩარიცხვა, იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ჩააბარებს გამოცდას სპეციალობაში ან/და სხვა უნივერსიტეტში ჩაბარებული აქვს მსგავსი გამოცდა და გაივლის ტესტირებას უცხო ენაში (B2 დონეზე), ან წარმოადგენს აწსუ აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების (№6 (15-16) უცხო ენაში B2 დონის სერტიფიკატის შესაბამისობის სკალის დამტკიცების შესახებ) შესაბამის სერთიფიკატს“;

3. შემუშავდა კურიკულუმის რუკა მოთხოვნების შესაბამისად;

4. სასწავლო კურსები „სამაგისტრო ნაშრომი“, „პროფესიული პრაქტიკა“, „ფინანსური ანალიზი“ და „ოპერაციათა მენეჯმენტი“ არჩევითებიდან გადატანილი იქნა სავალდებულო სასწავლო კურსების ბლოკში;

5. სასწავლო კურსის - „პროფესიული პრაქტიკა“- კრედიტების მოცულობა გაიზარდა 5 კრედიტიდან 10 კრედიტამდე;

7. პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების ბლოკს დაემატა სასწვალო კურსი „საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი“ და „მარკეტინგის მენეჯმენტი“;

8. სასწავლო კურსს „ინვესტიციურ მენეჯმენტს“ წინაპირობად განესაზღვრა „ფინანსური მენეჯმენტი“;

9. გაუქმდა სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობა (სტატიის გამოქვეყნება ან კონფერენციაში მონაწილეობის მიღება);

10. გადამუშავდა სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი;

11. 2018 წლის ოქტომბრიდან მაგისტრატურის პროგრამა გააქტიურებულია ელექტრონული დეკანატის პორტალზე;

12. გრძელდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის სხვადასხვა მიმართულებით გადამზადება;

13. შემუშავდა სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, სადაც განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა სამიზნე ნიშნულების და მინიმალური კომპეტენციის ზღვარის დაწესებაზე და ა.შ.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრატურის პროგრამის მიზანი შეესაბამება სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, რომელიც ახორციელებს კვლევით საქმიანობას, ეფუძნება რა ფაზისისა და გელათის აკადემიების ტრადიციებს, „უნივერსიტეტების დიდი ქარტიის“ პრინციპებსა და უმაღლესი განათლების ეროვნულ და ევროპულ სტანდარტებს, ისწრაფვის უზრუნველყოს მაღალი ხარისხის განათლება და კვლევითი საქმიანობა, ხელი შეუწყოს სტუდენტების პიროვნულ განვითარებას, აღზარდოს პროფესიონალები და ლიდერები. უნივერსიტეტი აცნობიერებს საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობას და მიზნად ისახავს, თავისი საქმიანობით წვლილი შეიტანოს ქალაქის, რეგიონისა და მთლიანად ქვეყნის განვითარებაში. ამ მიზნით იგი უზრუნველყოფს მთელი ცხოვრების მანძილზე უწყვეტი განათლების პროგრამებისა და სერვისების მიწოდებას, ახალი ცოდნის შექმნა-გავრცელებასა და სხვადასხვა დაინტერესებულ პირთან ერთად ჩართულია საზოგადოებრივი პოლიტიკის ფორმირების პროცესში. ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრატურის პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს ღრმა და სისტემური ცოდნა ცვალებად გარემოში მიმდინარე ბიზნეს პროცესების აღქმის, ანალიზის, სიტუაციათა შეფასების, მართებული მმართველობითი გადაწყვეტილების შემუშავებისა და გუნდში ეფექტიანი მუშაობით მისი განხორციელების გზების შესახებ კომპანიის საქმიანობის ეფექტიანი ადმინისტრირებისთვის. ასევე, გამოუმუშაოს პრაქტიკული უნარები ბიზნეს სექტორში არსებული პრობლემების იდენტიფიცირების და გადაწყვეტის თანამედროვე გზების ძიების, უახლესი მეთოდების გამოყენებით და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვით ინდივიდუალური კვლევების ჩასატარებლად. პროგრამაზე 2014 წლიდან დღემდე ჩარიცხულ სტუდენტთა დინამიკას თუ განვიხილავთ, შემდეგია:



უსდ-ში ჩატარდა დასაქმების ბაზრის კვლევა და დამსაქმებელთა გამოკითხვა, რომლის საფუძველზეც, გამოკვეთილი ტენდენციების მიხედვით, მოხდა სასწავლო კურსების შინაარსის მოდერნიზაცია, სწავლის მეთოდების განახლება, გარკვეული სასწავლო კურსების დამატება და ა.შ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მიზნებსა და სტრატეგიული განვითარების გეგმის მიზნებთან, ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის მისია https://www.atsu.edu.ge/index.php/mission-geo
- თსუ სტრატეგიული განვითარების გეგმა https://www.atsu.edu.ge/index.php/strategic-plan-geo#mimartulebebi
- პროგრამის მიზნები
- ფაკულტეტის მისია, მიზნები და სტრატეგია;
- თვითშეფასების კითხვარი;
- ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა;
- ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან ინტერვიუები
- შრომის ბაზრის კვლევა
- ვებ-გვერდი https://atsu.edu.ge/

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის შედეგების სწორად განსაზღვრაში მნიშვნელოვანია გამოვყოთ უნარები და ცოდნა, რომელსაც სტუდენტი იღებს პროგრამის გავლის შედეგად. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტმა გაითვალისწინა ექსპერტთა დასკვნები და პროგრამის შემუშავების და სრულყოფის პროცესში თანამშრომლობს დამსაქმებლებთან (რომელთაგან მნიშვნელოვანი იყო პრაქტიკულ სწავლებაზე მეტი ორიენტირება, სწავლების მეთოდებისა და კვლევის უნარების გაუმჯობესება) და მათი უკუკავშირის გათვალისწინებთ ახდენს პროგრამის მოდიფიცირებას. ამავდროულად, უნივერსიტეტი უკუკავშირს იღებდა და ითვალისწინებდა სტუდენტების მხრიდანაც. შესწავლილი დოკუმენტაციის, ასევე გასაუბრებების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტმა შეძლო წინა დასკვნით გათვალისწინებული რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინება, რაც საფუძველია იმისა, რომ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და ასევე ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში მონაწილეობდა ყველა დაინტერესებული პირი.

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრატურის პროგრამის სწავლის შედეგები ძირითადად შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის (№69/ნ, 10.04.2019) დამტკიცებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მოთხოვნებთან და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებს, თუმცა შედეგები გადამუშავებას საჭიროებს „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობის“ ნაწილში. დოკუმენტაციაში მოცემულია, რომ თითქმის ყველა სასწავლო კურსი გადის მოცემულ კომპეტენციაზე, რაც ასე არ არის (გარდა პროფესიული პრაქტიკისა), ვინაიდან არ ხდება სტუდენტის საკუთარი სწავლის, სასწავლო ან/და სამუშაო გარემოს მართვის დამოუკიდებლად წარმართვის გაზომვა და შეფასება.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე გადასვლის საშუალებას.

თითოეული სწავლის შედეგისთვის მოხდა სამიზნე ნიშნულების შემუშავება, დაწესდა მუდმივი მონიტორინგი და გაიწერა სამიზნე ნიშნულთან დადარების ვადები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს. შეფასების

შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები ადასტურებს, რომ ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამა, ხელს უწყობს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას.

პროგრამის შემუშავებამდე უნივერსიტეტმა ჩაატარა დასაქმების ბაზრის კვლევა. პროგრამის განხორციელების პერიოდულად შეფასების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგანმანათლებლო და შრომის ბაზრებზე არსებობს მოთხოვნა ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრატურის პროგრამაზე და მის კურსდამთავრებულებზე. უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე (ბოლო 5 წლის განმავლობაში) სწავლას აგრძელებს ოთხი დოქტორანტი.

პროგრამაზე ბოლო 5 წლის დასაქმებულ სტუდენტთა დინამიკას თუ განვიხილავთ, შემდეგია:



დამსაქმებელთა გამოკითხვა ტარდება ყოველწლიურად და ხდება მათი რეკომენდაციების პროგრამაში გათვალისწინება. დამსაქმებლების ბოლო გამოკითხვა ჩატარდა 2018 წლის იანვარ-თებერვალში. მათთვის, პირველ ეტაპზე მიწოდებულ იქნა სასწავლო გეგმა და ანკეტა, რომელიც ითვალისწინებდა მათ დამოკიდებულებას არსებული პროგრამისადმი, შეთავაზებულ იქნა, თუ რა ტიპის ცვლილებებს დაუჭერდნენ ისინი მხარს, რომ ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრატურის პროგრამის კურსდამთავრებულის კონკურენტუნარიანები ყოფილიყვნენ დასაქმების ბაზარზე. მეორე ეტაპზე კი მიმდინარეობდა პირადი ინტერვიუები, რომლის დროსაც ხდებოდა გარკვეული საკითხების დაზუსტება.

მაგისტრანტების ლექციებსა და პრაქტიკულებზე დასწრების მაჩვენებლის გაზრდის კუთხით (ინტერვიუებზე დადგინდა, რომ მაგისტრანტების უმრავლესობა მუშაობს) არაერთი შეხვედრა გაიმართა სტუდენტებთან, რაც სტუდენტებმაც დაადასტურეს. სხვადასხვა ვარიანტის განხილვისას გამოიკვეთა, რომ რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე ოპტიმალური იქნებოდა შემდეგი სქემის დანერგვა: ერთი ჯგუფი დღის საათებში, ხოლო მეორე საღამოს საათებში დაიტვირთოს.

პროგრამის სწავლის შედეგები შეფასდა პირდაპირი (სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი) და არაპირდაპირი მეთოდებით (კურსდამთავრებულებისა და მაგისტრანტების გამოკითხვის შედეგები, დამსაქმებლის მიერ სტუდენტის შეფასება).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზი;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;

○ კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელი; ○ ვებ-გვერდი https://atsu.edu.ge/
რეკომენდაციები: • პროგრამის სწავლის შედეგები გადამუშავებას საჭიროებს „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობის“ ნაწილში
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აწსუ-ს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრატურის პროგრამა ცხადად აღწერს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს. აღნიშნულ პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირს, მაგისტრატურის პროგრამებზე დაშვების წინაპირობაა საერთო მაგისტრატურის და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის წარმატებით ჩაბარება. შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა შედგება სპეციალობაში გამოცდისა და უცხო ენის (ინგლისური, ფრანგული, გერმანული) ცოდნის (B2 დონის) დასადგენი ტესტირებისაგან. სპეციალობაში გამოცდა ითვალისწინებს აპლიკანტისთვის ბიზნესის ადმინისტრირების შესახებ ფართო ცოდნის ფლობის დონის შემოწმებას. გამოცდა ტარდება წერითი ფორმით, ბილეთი მოიცავს 4 საკითხს მენეჯმენტის, მარკეტინგის, ფინანსების, აღრიცხვის და აუდიტის მიმართულებიდან. უცხო ენაში გამოცდა ტარდება ტესტირების სახით. აპლიკანტი გათავისუფლდება ტესტირებისგან, თუ წარადგენს საერთაშორისოდ აღიარებულ სერთიფიკატს, რომელიც დაადასტურებს უცხო ენის ცოდნას B2 დონეზე . გარდა აღნიშნულისა, პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია შიდა და გარე მობილობის წესით, რასაც არეგულირებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის ბრძანება No10/ნ - „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ [http://eqe.ge/res/docs/10%E1%83%9C_16.03.2018.pdf] და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული „სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესის შესახებ“ დადგენილება (№12 (17/18)). უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე საჯაროდ ხელმისაწვდომია პროგრამებზე დაშვების წინაპირობები, სპეციალობაში მისაღები გამოცდის საკითხები და ლიტერატურა, სადაც შესაძლებელია აღნიშნული საკითხების მოძიება, ასევე ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებში საგამოცდო ტესტების ნიმუშები. https://atsu.edu.ge/index.php/news/1497-magistraturis-misagebi-gamocdebis-sakitxebi-2019. ექსპერტების მიერ დაისვა საკითხი წინა პირობაში მხოლოდ ინგლისური ენის დარჩენის შესახებ, მაგრამ ინტერვიუების დროს მოხდა გერმანულის და ფრანგული ენის მნიშვნელობის დასაბუთება.

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამჭვირვალე და სამართლიანია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრატურის პროგრამა; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუ პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან; ○ ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი www.atsu.edu.ge
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების ინიცირების, დაგეგმვის, დამტკიცების, შეფასებისა და განვითარების პროცედურები. მეთოდოლოგიაში ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრატურის პროგრამის ფარგლებში სწავლება მიმდინარეობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) ძირითადი მოთხოვნების გათვალისწინებით და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს 120 ECTS კრედიტის დაგროვების შემდეგ ენიჭება ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხი. პროგრამის ძირითადი სფერო არის დეტალური სფეროს შინაარსის შესაბამისი.

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრატურის პროგრამა რეალურად შედგება, როგორც ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსებისაგან (წარმოდგენილია როგორც სავალდებულო, ასევე არჩევითი სასწავლო კურსებით), ასევე თავისუფალი კომპონენტებისაგან (წარმოდგენილია არჩევითი სასწავლო კურსებით), თუმცა საჭიროა პროგრამაში ტერმინოლოგია შესაბამისობაში მოვიდეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის (№69/ნ, 10.04.2019) „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ ბრძანებასთან.

პროგრამაში მოცემულია 120 კრედიტის შემდეგი გადანაწილება:

- 96 კრედიტი – სავალდებულო სასწავლო კურსები;
- 24 კრედიტი – არჩევითი სასწავლო კურსები/თავისუფალი კრედიტები.

თუმცა 120 კრედიტი შესაძლებელია ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

- ძირითადი სწავლის სფეროს შესბამისი სასწავლო კურსები: 96 კრედიტი სავალდებულო (მოიცავს პროფესიულ პრაქტიკას - 10 კრედიტი და სამაგისტრო ნაშრომის მომზადებას და დაცვას - 20 კრედიტი) და 12 კრედიტი არჩევითი;
- თავისუფალი კომპონენტები: 12 კრედიტი არჩევითი.

სასწავლო კურსები სემესტრების მიხედვით გადანაწილებულია თანმიმდევრულად. სასწავლო კურსებზე დაშვების პირობები ადეკვატურია. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა ორიენტირებულია სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებით განსაზღვრული კომპეტენციების შეძენაზე. შესაბამისად, პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია.

პროგრამა ითვალისწინებს პროფესიული პრაქტიკის გავლას. პროფესიული პრაქტიკა მიზნად ისახავს საუნივერსიტეტო განათლების თეორიული ცოდნის ტრანსფერს რეალურ საქმიანობაში და ბიზნესის ადმინისტრატორის პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას. წარმოდგენილ პროგრამაში გაზრდილია საკონტაქტო (პრაქტიკის ობიექტებში) საათების რაოდენობა (180 საათი). პრაქტიკის ობიექტზე მუშაობის პროცესში აქტივობა ფასდება პრაქტიკის ობიექტის მენტორის მიერ, რაც შესაბამისად აისახება ქულებში. ეს კი სტუდენტს ეხმარება ასევე პასუხისმგებლობის სწავლის შედეგის გამომუშავებაში.

პროგრამის სასწავლო კურსები გაძლიერდა პრაქტიკული ელემენტებით, რაც სტუდენტს უდაოდ დაეხმარება პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია სწავლის შედეგებთან. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. თუმცა, პროგრამის სტრუქტურის და შინაარსის მიმართ გვაქვს გარკვეული შენიშვნები. კერძოდ:

პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, ასევე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრატურის პროგრამის სწავლის შედეგების („დაწერონ და წარადგინონ კვლევის შედეგების თემატური და სრული ანგარიში როგორც აკადემიური, ისე ბიზნეს სექტორში ჩართული სუბიექტებისთვის“) უკეთ უზრუნველყოფის მიზნით, თავისუფალი კომპონენტის „სამეცნიერო წერის“ არჩევითი სასწავლო კურსის შეთავაზება მიზანშეწონილია ხდებოდეს სავალდებულო კურსების კომპონენტში. ასევე გასასწორებელია არჩევით სასწავლო კურსების ნაწილში დუბლირებული სასწავლო კურსი „ბრენდინგი“, რომელიც პროგრამაში მოცემულია, როგორც II.7, ასევე II.14 ნომრად.

პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე (აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებელები და ა.შ.), რაც დადასტურდა ინტერვიუების დროს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამის სილაბუსები;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან;
- ინტრევიუ დაინტერესებულ მხარეებთან (აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები).

რეკომენდაციები:

- საჭიროა პროგრამაში კრედიტების განაწილებასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია შესაბამისობაში მოვიდეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის (№69/ნ, 10.04.2019) „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ ბრძანებასთან.
- ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრატურის პროგრამის სწავლის შედეგების („დაწერონ და წარადგინონ კვლევის შედეგების თემატური და სრული ანგარიში როგორც აკადემიური, ისე ბიზნეს სექტორში ჩართული სუბიექტებისთვის“) უკეთ უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდირებულია „სამეცნიერო წერის“ სასწავლო კურსი არჩევითი სასწავლო კურსებიდან გადატანილი იქნას სავალდებულო სასწავლო კურსების ნაწილში. ასევე გასასწორებელია არჩევით სასწავლო კურსების ნაწილში დუბლირებული სასწავლო კურსი „ბრენდინგი“, რომელიც პროგრამაში მოცემულია, როგორც II.7, ასევე II.14 ნომრად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრატურის პროგრამის ფარგლებში სასწავლო კურსებით გათვალისწინებული სწავლის შედეგები ნაწილობრივ შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან, ვინაიდან სასწავლო კურსებში შედეგები გადამუშავებას საჭიროებს „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობის“ ნაწილში (იხ. 1.2 ქვესტანდარტი). სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება თავად კურსის შინაარსს და განათლების საფეხურს.

სილაბუსში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და დამხმარე მასალები უმეტეს შემთხვევაში დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა სასწავლო კურსების ნაწილში გამოყენებული ძირითადი ლიტერატურა საჭიროებს გადახედვას, სწავლების საფეხურთან და კურსის მიზანთან შესაბამისობაში მოყვანას. კერძოდ, სასწავლო კურსებში „კვლევის მეთოდები ბიზნესში“ და „ოპერაციათა მენეჯმენტი“ გადასახედია ძირითადი ლიტერატურა.

ვინაიდან უსდ პროგრამაზე დაშვების წინაპირობად ითხოვს უცხო ენის B2 დონეზე ცოდნას, სასურველია როგორც ძირითად, ისე არჩევით სასწავლო კურსებში დაემატოს უცხოენოვანი ლიტერატურა, რაც სტუდენტებს საშუალებას მისცემს შეიძინონ ბიზნესის ადმინისტრირების უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ცოდნა. უფრო მეტიც, კარგი იქნება თუ სტუდენტებისათვის, თუნდაც არჩევითი სასწავლო კურსების ნაწილში, მოხდება უცხოენოვანი სასწავლო კურსების შეთავაზება.

სასურველია სასწავლო კურსის „საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი“ პრაქტიკულ ნაწილში დამატებით მოხდეს სტუდენტებისათვის რომელიმე ERP სისტემის (APEX-ERP, 1C-საწარმო, Navision და სხვა) შესწავლა.

სასწავლო კურსებისთვის გამოყოფილი სამუშაო საათების რაოდენობა ლოგიკურია და შეესაბამება სასწავლო კურსების შინაარსსა და სწავლის შედეგებს. კონკრეტული სასწავლო კურსების შინაარსისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების თანაფარდობა ლოგიკურია და შეესაბამება მაგისტრატურის საფეხურს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრატურის პროგრამა;
- პროგრამის კურიკულუმი;
- სილაბუსები;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუ პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ პერსონალთან

რეკომენდაციები:

- გადაიხედოს ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული ძირითადი ლიტერატურა, რათა ისინი შეესაბამებოდნენ კურსის მიზანსა და სწავლების საფეხურს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ვინაიდან უსდ პროგრამაზე დაშვების წინაპირობად ითხოვს უცხო ენის B2 დონეზე ცოდნას, სასურველია როგორც ძირითად, ისე არჩევით სასწავლო კურსებში დაემატოს უცხოენოვანი ლიტერატურა. უფრო მეტიც, კარგი იქნება თუ სტუდენტებისათვის, თუნდაც არჩევითი სასწავლო კურსების ნაწილში, მოხდება უცხოენოვანი სასწავლო კურსების შეთავაზება.
- სასურველია სასწავლო კურსის „საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი“ პრაქტიკულ ნაწილში დამატებით მოხდეს სტუდენტებისათვის რომელიმე ERP სისტემის (APEX-ERP, 1C-საწარმო, Navision და სხვა) შესწავლა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის სტუდენტები ჩართულნი არიან ადგილობრივ კვლევით პროექტებში. კერძოდ, სტუდენტებს საშუალება ეძლევათ ინტერესების მიხედვით მონაწილეობა მიიღონ უსდ-ში გამართულ კონფერენციებში, სტუდენტთა დასაქმების ფორუმებში. სტუდენტებს შეუძლიათ წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრები პროექტების სახით, მოახდინონ მათი საჯარო დაცვა. გარდა ამისა, ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრატურის პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კვლევითი კომპონენტია პროფესიული პრაქტიკა და სამაგისტრო ნაშრომის მომზადება/დაცვა.

სილაბუსის თანახმად, სტუდენტები პროფესიულ პრაქტიკას გადიან სხვადასხვა კერძო სტრუქტურებში. პრაქტიკის ობიექტებთან უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით და ინტერვიუების შედეგად გაირკვა, რომ უსდ-ს მემორანდუმები გაფორმებული აქვს პროგრამის შესაბამისი

პროფილის მქონე ორგანიზაციებთან, რითაც უზრუნველყოფს სასწავლო პრაქტიკის სილაბუსით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.

უსდ უზრუნველუოფს სტუდენტისთვის კვალიფიციური პრაქტიკის ხელმძღვანელის დანიშვნას, ხოლო პრაქტიკის ობიექტში კი სტუდენტს გამოეყოფა მენტორი. პრაქტიკის ხელმძღვანელი პერიოდულ მონიტორინგს უწევს პრაქტიკის მიმდინარეობას და ადგილზე სტუდენტების აქტიურობას. პროფესიული პრაქტიკა ეხმარება სტუდენტს პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის ტრანსფერში რეალურ საქმიანობაში და ბიზნესის ადმინისტრატორის პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაში. უსდ ცდილობს პრაქტიკის ობიექტი სტუდენტს შეურჩიოს მისი სამაგისტრო ნაშრომის თემატიკიდან და ნაშრომის ფარგლებში განსახორციელებელი კვლევის ინტერესიდან გამომდინარე. სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის დროს სტუდენტებს ხელმძღვანელობას უწევენ დარგის კვალიფიციური პირები,

რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომის შესრულება/დაცვას, იგი ხორციელდება სამაგისტრო ნაშრომის შესრულების გზამკვლევის და სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსის მიხედვით, რომლებშიც გაწერილია სამაგისტრო ნაშრომის მიზანი, შედეგები, მეთოდები, სამაგისტრო ნაშრომის თემის შერჩევის, ხელმძღვანელისა და რეცენზენტის გამოყოფის პროცესი, სამაგისტრო ნაშრომის არქიტექტონიკა და გაფორმების წესი. სამაგისტრო ნაშრომის დაცვისა და შეფასების მექანიზმი.

სილაბუსის თანახმად სტუდენტმა სამაგისტრო ნაშრომში უნდა შეძლოს

- საკვლევი საკითხის გარშემო არსებული მასალების მოძიება და მისი სისტემატიზირება, გამოსაყენებელი სამეცნიერო ლიტერატურის ბიბლიოგრაფიის შედგენა, საკვლევი თემის კონცეფციის შემუშავება, თეორიული და პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე ინდივიდუალური კვლევის განხოციელება, კვლევის შედეგების დემონსტრირება;
- კვლევის სფეროში საკუთარი შესაძლებლობების განსაზღვრა და საკვლევი ობიექტის დამოუკიდებლად შესწავლა;
- ბიზნეს სექტორში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და ღრმა და სისტემური კვლევის დაგეგმვა არსებული პრობლემების გადაჭრის გზების ძიების მიზნით;
- ინდივიდუალური კვლევის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება.

თუმცა, პროგრამის ფარგლებში დაცული სამაგისტრო ნაშრომების გადახედვის შედეგად გაირკვა, რომ ზოგიერთ ნაშრომში ნაშრომების კვლევითი ნაწილები სუსტად გამოიყურება (ვფიქრობთ ამ პრობლემას პროგრამაში დამატებული სასწავლო კურსები „კვლევის მეთოდები ბიზნესში“ და „სამეცნიერო წერის“ სავალდებულო კომპონენტში გადატანა მოაგვარებს), თუმცა გარდა ამისა, გამოყენებული ლიტერატურა მწირია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი;
- მემორანდუმები/ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან/დამსაქმებლებთან;
- სამაგისტრო ნაშრომის და პროფესიული პრაქტიკის სილაბუსები;
- ინტრევიუ სტუდენტებთან;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუ სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებთან;
- პროგრამის ფარგლებში დაცული სამაგისტრო ნაშრომები

რეკომენდაციები:

- უსდ-მ მეტი ყურადღება დაუთმოს სტუდენტთა მიერ სამაგისტრო ნაშრომის

ფარგლებში გამოყენებულ ლიტერატურას
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სასწავლო კურსის ფარგლებში გამოიყენება სწავლებისა და სწავლის ისეთი მეთოდები, რომლებიც შესაბამისობაშია მაგისტრატურის საფეხურთან, ითვალისწინებს სასწავლო კურსის შინაარსს და კურსით მისაღწევ სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსების ფარგლებში ფართოდაა გამოყენებული სწავლება-სწავლის ისეთი მეთოდები, როგორებიცაა ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული სწავლება. პროგრამის განხორციელების დროს გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები მოიცავს შემდეგ აქტივობებს - დისკუსია-დებატები, პრეზენტაცია, სემინარი და სხვ. თუმცა პროგრამაშიც და სასწავლო კურსებშიც ვხვდებით სწავლება-სწავლის ისეთ მეთოდებს და აქტივობებს, რომლებიც არ არის გათვალისწინებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის №3 ბრძანებით. სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები უზრუნველყოფს სასწავლო კურსებით განსაზღვრული პრაქტიკული უნარების, ანალიზისა და მსჯელობის, დარგთან დაკავშირებული შემთხვევების შეფასების, სტრატეგიული გადაწყვეტილებების და ზოგადად პროგრამით დასახული სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის მიერ ხდება სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება და სწავლების შესაბამისი მიდგომების გამოყენება, კერძოდ, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ასევე, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მიერ ინტერვიუების დროს დადასტურდა პროფესორ-მასწავლებელთა მზაობა სილაბუსებით გათვალისწინებული საკონტაქტო და საკონსულტაციო საათების მიღმა გაუწიონ სტუდენტებს დამატებითი კონსულტაციები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სწავლება-სწავლის მეთოდები; ○ ინდივიდუალური გეგმები; ○ გამოკითხვის შედეგები; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: • უსდ-მ უზრუნველყოს სასწავლო კურსების სწავლება-სწავლის მეთოდების და აქტივობების „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის №3 ბრძანების შესაბამისად ფორმულირება
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებს შეფასების სისტემის მარეგულირებელი დოკუმენტი (დადგენილება #5(17/18) 15.09.2017 წ), რომლიც მოიცავს შემდეგ შეფასების ფორმებს:

- სტუდენტის აქტივობა სასწავლო სემესტრის განმავლობაში - არა უმეტეს 30 ქულა;
- შუალედური გამოცდა - არა ნაკლებ 30 ქულა;
- დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა.

აქტივობის ქულები ეტაპობრივად გაიზარდა 10-დან 30-მდე, რამაც სტუდენტების პრაქტიკულ მეცადინეობებზე აქტივობა გაზარდა.

სტუდენტს აქვს შესაძლებლობა, რომ არსებული სასწავლო კურსების შესახებ ინფრმაცია მიიღოს ელექტრონული პორტალის გამოყენებით, რითაც იგი თავისუფალია არჩევანის უფლებით მოახდინოს კურსებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი და მოერგოს სასწავლო პროცესს. ეს უკანასკნელი, უმნიშვნელოვანესია სწავლის ხარისხის ამაღლების თვალსაზრისით.

პროგრამის სტუდენტების შეფასება ხდება ხუთი სახის დადებითი ((A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა, (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა, (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა, (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა, (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა) და ორი სახის უარყოფითი ((FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა და (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები) შეფასებით. (FX) ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. ხოლო (F) ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი

გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სტუდენტთა ობიექტური შეფასების, სანდოობის, ვალიდურობის და გამჭვირვალობის მიზნით ჩატარდა შემდეგი აქტივობები:

- სტუდენტის შეფასების სისტემა ასახულია, როგორც საგანმანათლებლო პროგრამაში, ისე სილაბუსებში, ატვირთულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე შემდეგ მისამართზე: http://atsu.edu.ge/images/pdf/debulebebi/%E1%83%93%E1%83%90 %E1%83%93 %E1%83%92.5.2017-18.pdf.

- ლექტორი ვალდებულია სილაბუსის პრეზენტაცია მოახდინოს ჯგუფში პირველივე მეცადინეობაზე;

- სტუდენტთა შეფასების ობიექტურობას და სილაბუსთან რელევანტურობას პერიოდულად სწავლობს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და პროგრამის ხელმძღვანელი, რომლებიც ახდენენ სტუდენტთა გამოკითხვას და წერითი ნაშრომების გადამოწმებას.

სილაბუსებით გათვალისწინებულია სტუდენტის, როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასება.

უნივერსიტეტში არსებობს შეფასების გასაჩივრების მექანიზმი, რომელიც სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას, საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში, ნახოს მისი ნაშრომი და გაიგოს რატომ ვერ მიიღო მისთვის სასურველი ქულა. სტუდენტი აპელაციის შემთხვევაში აპლიკაციას ავსებს ელექტრონულ დეკანატში, რომლის საფუძველზე შესაბამისი დეპარტამენტი გამოყოფს კომისიას და ერთობლივად ხდება ნაშრომის გადახედვა. სასწავლო კურსის შეფასების მიზნით, სემესტრის ბოლოს სტუდენტებს ეძლევათ სპეციალური კითხვარი შესავსებად, გამოკითხვას ატარებს თვით ლექტორი სასწავლო კურსის შინაარსის, სწავლების და შეფასების მეთოდების განვითარების და საკუთარი კომპეტენციების გაუმჯობესების მიზნით. ელექტრონული პორტალის დანერგვამ ხელი შეუწყო სტუდენტებისათვის ინფორმაციის მიწოდებას არსებული სტუდენტური სერვისებისა და ღონისძიებების შესახებ, რაც აშკარად პრობლემა იყო. არაფორმალური განათლების (საჯარო ლექციები, თემატური სკოლები და ა.შ.) მიღების გზები და საშუალებები ერთგვარი ბიძგი იქნება შემდგომში სტუდენტის მიერ მისივე სწავლის ხარისხის ამაღლებისთვის. სასურველია სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, ყოველკვირეულად იყოს შესაძლებელი სტუდენტის შეფასებების ასახვა ელექტრონულ პორტალზე. სასურველია მოხდეს წამახალისებელი ღონისძიებების გატარება სტუდენტთა სწავლებისა და აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად სტდენტის მიერ ჩამოყალიბებული პრიორიტეტების გათვალისწინებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრატურის პროგრამის - შეფასების მეთოდების რუკა; • აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება #5(17/18) 15.09.2017 წ. „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ“; • ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; • ინტერვიუ ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან; • ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია სასწავლო პროცესის მიმდინარეობის პროცესში, ყოველკვირეულად იყოს შესაძლებელი სტუდენტის შეფასებების ასახვა ელექტრონულ პორტალზე. • სასურველია მოხდეს წამახალისებელი ღონისძიებების გატარება სტუდენტთა სწავლებისა და აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად სტდენტის მიერ ჩამოყალიბებული პრიორიტეტების გათვალისწინებით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურების სტანდარტის მიხედვით, თითოეული კურსის სილაბუსში ნათლად და კონკრეტულად არის მოცემული საკონსულტაციო შეხვედრების დეტალები. შესაბამისად, წარმოდგენილი დოკუმენტაციის მეშვეობით ირკვევა ლექტორის/პროფესორის მხრიდან კონსულტაციის გაწევის მზაობა სტუდენტისთვის. პროგრამა სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას მონაწილეობა მიიღოს ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევებში. ამ უკანასკნელზე მეტყველებს, უნივერსიტეტის ბაზაზე მიმდინარე და უკვე დასრულებული საერთაშორისო პროექტები (https://atsu.edu.ge/index.php/projects/previousprojects). ასევე, სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში (https://atsu.edu.ge/index.php/conferrences-geo). თუმცა, ინტერვიუს პროცესში გაირკვა, რომ ინფორმაციას სტუდენტური აქტივობების, კონსულტაციების შესახებ ზოგიერთი სტუდენტი არ ფლობდა.

სასურველია გააქტიურდეს ახლად დაარსებული სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახური, რათა უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს დამსაქმებლებთან თანამშრომლობას და ამ თანამშრომლობის შედეგად კურსდამთავრებულების დასაქმებას რეგიონში. სასურველია გაიზარდოს საორიენტაციო შეხვედრები სტუდენტებთან, რომელიც დაეხმარება სტუდენტებს მეტი გაიგონ იმ შესაძლებლობების შესახებ, რომელსაც უნივერსიტეტი აძლევს პროგრამაზე სწავლების პროცესში (საერთაშორისო პროექტები, ღონისძიებები, კონფერენციები, კვლევებში მონაწილეობა და სხვა აქტივობები).
მტკიცებულებები/ინდიკატორები • მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; • აწსუ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 სექტემბრის №3(17/18) დადგენილება -„აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის და ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტების წლიური სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდურიდატვირთვის ნორმების დამტკიცების შესახებ“; • ლექტორების ინდივიდუალური დატვირთვების ცხრილი; • ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; • ინტერვიუ ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან; • ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია გაიზარდოს საორიენტაციო შეხვედრები სტუდენტებთან, რომელიც დაეხმარება სტუდნეტებს მეტი გაიგონ იმ შესაძლებლობების შესახებ, რომელსაც უნივერსიტეტი აძლევს პროგრამაზე სწავლების პროცესში (საერთაშორისო პროექტები, ღონისძიებები, კონფერენციები, კვლევებში მონაწილეობა და სხვა აქტივობები). ○ სასურველია გააქტიურდეს ახლად დაარესებული სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახური, რათა უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს დამსაქმებლებთან თანამშრომლობას და ამ თანამშრომლობის შედეგად კურსდამთავრებულების დასაქმებას რეგიონში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დადგინდა, რომ ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის მაგისტრანტებს ჰყავთ კვალიფირებული ხელმძღვანელი და ასევე, სტუდენტებს ეძლევა შესაძლებლობა თემის ხელმძღვანელთან/თანახელმძღვანელთან რეგულარული კონსულტაციების. კონსულტაციების სიხშირე შეესაბამება პროგრამისა და საკვლევი თემის სპეციფიკას. მოხდა აკადემიური პერსონალის გადამზადება კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიაში. ხელმძღვანელი კონსულტირებას უწევს სტუდენტს კვლევით პროცესში შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: კვლევის დიზაინი და პროექტის მენეჯმენტი, თეზისის/სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის/დისერტაციის წერის პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრირების პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისა და შედეგების წარდგენის პროცესი და სხვა. ამასთანავე, პროგრამის ფარგლებში სტუდენტს სამეცნიერო სტატიების რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნების საშუალება ეძლევა. უსდ-ში ერთ აკადემიურ პერსონალმა ერთდროულად შეიძლება უხელმძღვანელოს მაქსიმუმ 5 მაგისტრანტს. სასურველია მოხდეს საერთაშორისოდ აღიარებული ერთ-ერთი ტიპის აკადემიური სტილის (მაგ. ჩიკაგოს სტილი და სხვა) შემოღება სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამაგისტრო ნაშრომები, კურსის სილაბუსში წარმოდგენილი კონსულტაციის განრიგი ○ მაგისტრების ხელმძღვანელების პირადი საქმეების კვლევები ○ სასწავლო კურსის „სამაგისტრო ნაშრომის“ სილაბუსი ○ სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი ○ ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია მოხდეს საერთაშორისოდ აღიარებული ერთ-ერთი ტიპის აკადემიური სტილის (მაგ. ჩიკაგოს სტილი და ა.შ.) შემოღება სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე

პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ, რომელთაც გააჩნიათ სამეცნიერო, პედაგოგიური და პრაქტიკული გამოცდილება, რასაც ადასტურებს მათ მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოცემული მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, სამეცნიერო სტატიები, მათი სისტემატური მონაწილეობა ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში, ტრეინინგებში და რომელიც ასახულია მათ CV-ში. აკადემიური პერსონალის დატვირთვა ასახავს საქმიანობის სრულ სპექტრს: სწავლება, სწავლების მეთოდებისა და კურიკულუმის განვითარება, კვლევა, საგრანტო პროექტებში მონაწილეობა, პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობა, საუნივერსიტეტო მომსახურება, სტუდენტების კონსულტირება, საზოგადოებრივ აქტივობებში მონაწილეობა და სხვა. სტუდენტებთან კონსულტაციებს აქვს, როგორც კონტაქტური, ისე დისტანციური სახე. საკონსულტაციო საათების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია სასწავლო კურსის სილაბუსებში. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომლითაც აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის დაგეგმვისას ითვალისწინებს სტუდენტთა არსებულ და მისაღებ კონტინგენტს, პროგრამის სპეციფიკას და სხვა მახასიათებლებს. საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესის ნორმალურ ფუნქციონირებას და მის მდგრადობას უზრუნველყოფს 28 პროფესორ-მასწავლებელი. მათ შორის: 5 აფილირებული პროფესორი და 14 აფილირებული ასოცირებული პროფესორი; 2 ასისტენტ პროფესორი; სასწავლო პროცესში ჩართულია 7 მოწვეული ლექტორი, რომლებიც ძირითადად პრაქტიკული გამოცდილების ნიშნით არიან შერჩეულნი. აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტთა რაოდენობის, მოწვეული პერსონალის თანაფარდობა აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალთან მიმართებით არ აღემატება 1/3. შესაბამისად აკადემიური და მოწვეული პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას, რადგან სპეციალობის სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს უმეტესწილად ახორციელებს აკადემიური პერსონალი. პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, მისი კვალიფიკაცია დასტურდება მიმართულების/დარგის შესაბამისი განათლებით, პრაქტიკული გამოცდილებით და სამეცნიერო ნაშრომებით. ზემოაღნიშნული აღწერილია პროგრამის ხელმძღვანელის CV-ში. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი: უძღვება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების/მოქმედ პროგრამაში ცვლილებების შეტანის პროცესს; კოორდინაციას უწევს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობას. ახდენს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების სისტემატურ ანალიზს, საგანმანათლებლო პროგრამასთან და პროგრამით

გათვალისწინებულ კურსებთან დაკავშირებით ინფორმაციას აწვდის და კონსულტაციას უწევს სტუდენტებს, სხვა დაინტერესებულ პირებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ პერსონალის პირადი საქმეები; ○ აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია; ○ 2019 წლის 10 ივლისის აკადემიური საბჭოს #65 (18/19) დადგენილებით დამტკიცებულია აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის და ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტების წლიური სასწავლო და სამეცნიერო მეთოდური დატვირთვის ნორმები. ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ ინტერვიუ ადმინისტრაციულ პერსონალთან; ○ ინტერვიუ ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აწსუ-ს პერსონალის შეფასება წარმოადგენს უნივერსიტეტის საკადრო პოლიტიკის შემდგენელ და განუყოფელ ნაწილს, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის

თითოეულ თანამშრომელს საკუთარი ფუნქციების ეფექტიანად განხორციელებაში. პროგრამის ხელმძღვანელი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად ახდენს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებას და შედეგების ანალიზს. პირველ რიგში, ხდება მათი პერსონალური მონაცემების შესწავლა და გაანალიზება. შემდგომი ეტაპი არის პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასება, რომელიც სხვადასხვა გზით მიმდინარეობს:

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და პროგრამის ხელმძღვანელის მიერ საუდიტორიო მუშაობაზე დაკვირვება:

ურთიერთდასწრება ლექცია-პრაქტიკულ მეცადინეობებზე, რომლის მიზანია უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს შეექმნას გარემო ერთმანეთს გაუზიარონ იდეები და გამოცდილება მიმდინარე სწავლა/სწავლების პროცესის თაობაზე.

სტუდენტების გამოკითხვა, რომელიც ტარდება სემესტრულად და გამოკითხვას ატარებს ან პროგრამის ხელმძღვანელი, ან ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ან თვით ლექტორი თვითშეფასების მიზნით.

აკადემიური და მოწვეული პესონალის განვითარების მიზნით უნივერსიტეტი ახორციელებს სხვადასხვა ღონიძიებებს, რომელებიც ემსახურება პროფესიული და/ან სწავლების უნარის განვითარებას, კერძოდ:

- ✓ აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით იმართება ტრენინგები;
- ✓ უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი უსდ-ს სრული ან ნაწილობრივი დაფინანსებით იგზავნება სამუშაო მივლინებებში;
- ✓ უნივერსიტეტი სისტემატურად ატარებს ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების ხელშეწყობის მიზნით;
- ✓ უნივერსიტეტის ხელშეწყობით აკადემიური და მოწვეული პერსონალი ჩართულია გაცვლით, საერთაშორისო და/ან ადგილობრივ პროექტებში.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელის შესაწყობად ფაკულტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებულია შესაბამისი დაფინანსება. Erasmus+ მობილობის ფარგლებში აკადემიური პერსონალის ნაწილი მივლენილი იყო საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში. აკადემიური პერსონალი ასევე მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციებში, რაც დასტურდება პერსონალის CV-ებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამაში ჩართული პირების სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები;
- საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებში, კვლევებსა და ღონისძიებებში პერსონალის ჩართულობის მაჩვენებელი;
- საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (საერთაშორისო კვლევები, გამოქვეყნებული შრომები, საერთაშორისო მობილობის მაჩვენებელი, გაცვლითი და/ან ერთობლივი პროგრამები, და სხვა).
- აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით

განხორციელებული ღონისძიებები (ტრენინგები, სამუშაო მივლინებები, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, კონფერენციები, გაცვლითი, საერთაშორისო და/ან ადგილობრივი პროექტები, რომლებიც ემსახურება პროფესიულ და/ან სწავლების უნარის განვითარებას); ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ: უნივერსიტეტის აუდიტორიები აღჭურვილია სათანადო ინვენტარით; უსდ-ს შიდა ქსელში ორგანიზებულია ელექტრონული სწავლების სისტემა http://moodle.atsu.edu.ge/, რომლის პორტალზე განთავსებულია სილაბუსები, სალექციო კურსები და მასთან დაკავშირებული მასალა. უსდ-ს ქსელში ასევე ორგანიზებულია ელექტრონული დეკანატი http://edean.atsu.edu.ge/dekanati/. სტუდენტები და აკადემიური პერსონალი უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში განთავსებული კომპიუტერებით, პრინტერისა და ქსეროქსის აპარატით, ასევე ხელმისაწვდომია ინტერნეტი. ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე

ელექტრონული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას, ასევე უზრუნველყოფილია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობა. ბიბლიოთეკას ემსახურება კვალიფიცირებული პერსონალი. ლიტერატურის ელექტრონული საძიებელი განთავსებულია ვებ-გვერდზე https://library.atsu.edu.ge/. ბიბლიოთეკა მონაწილეობს პროექტში, რომელიც უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს და სტუდენტებს საშუალებას აძლევს ისარგებლონ სხვადასხვა ელექტრონული სამეცნიერო ბაზებით. შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულები სტუდენტებს აწვდიან ინფორმაციას ელექტრონული სამეცნიერო ბაზების გამოყენების შესახებ. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა ვიზიტის დროს წარმოადგინა ბაზებით სარგებლობის სტატისტიკა, თუმცა სტუდენტებთან ინტერვიუს დროს მათ ვერ დაადასტურეს, რომ აქტიურად სარგებლობენ ელექტრონული სამეცნიერო ბაზებით, ჩვენი აზრით ამ პრობლემას არჩევითიდან სავალდებულო სასწავლო კურსად „სამეცნიერო წერის“ გადატანა (იხილეთ 2.2 ქვესტანდარტი) და დამატებული სასწავლო კურსი „კვლევის მეთოდები ბიზნესში“ მოაგვარებს. ასევე, სასურველია სტუდენტებს პერიოდულად დაეგზავნოთ ინსტრუქციები ელექტრონული სამეცნიერო ბაზების სარგებლობის შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის ვებ–გვერდის მისამართით: http://www.atsu.edu.ge.
- ელექტრონული სწავლების ვებ-გვერდის მისამართით: http://moodle.atsu.edu.ge.
- უნივერსიტეტის მართვის სისტემის ვებ-გვერდი http://edean.atsu.edu.ge/dekanati/
- საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსების ვიზუალური დათვალიერება;
- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია სტუდენტებს პერიოდულად დაეგზავნოთ ინსტრუქციები ელექტრონული სამეცნიერო ბაზების სარგებლობის შესახებ.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრატურის პროგრამის ბიუჯეტის გაანგარიშება ხდება უნივერსიტეტის ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის მიერ სასწავლო კომპონენტების, პრაქტიკის და კვლევითი კომპონენტების მიხედვით http://www.atsu.edu.ge/index.php?option=com_edocman&view=document&id=503&lang=en. ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას, სტიპენდიებს, კვლევების დაფინანსებას და პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო სხვა აუცილებელ ხარჯებს. თუმცა, პროგრამის ბიუჯეტით სამეცნიერო კვლევების განხორციელებისთვის გათვალისწინებული დაფინანსება მწირია. ვიზიტის დროს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლების მიერ აღინიშნა, რომ პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებული თანხების გარდა კვლევითი საქმიანობა დამატებით უნივერსიტეტის ბიუჯეტიდანაც ფინანსდება. მთლიანობაში პროგრამის ბიუჯეტი განაპირობებს პროგრამის სტაბილურობას და მდგრადობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის ბიუჯეტი; ○ ინტერვიუს შედეგები; ○ სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის დებულება
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირები მაგისტრო პროგრამის შიდა ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციას“ (აწსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება - 09.02.2018, #49(17/18)), რომლის ძირითადი მიზანია: - უნივერსიტეტის მისიისა და სტრატეგიული მიზნების ეფექტიანი განხორციელების უზრუნველყოფა; - უნივერსიტეტის საქმიანობის ფარგლებში სასურველი დონის ხარისხის უზრუნველყოფა, რაც განსაზღვრულია უნივერსიტეტის შიდა სტანდარტებითა და კრიტერიუმებით; - უნივერსიტეტის საქმიანობის განათლების სფეროში მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დებულებებისა და სხვა

ნორმატიული დოკუმენტებისა და სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, რათა მიღწეული იქნეს ინსტიტუციური ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის უწყვეტობა;

- უნივერსიტეტის საქმიანობის შედეგების რეგიონულ და ეროვნულ დონეზე აღიარება და საერთაშორისო დონეზე ცნობადობის ამაღლება;
- ყველა პროცესის ინტერნაციონალიზაციისა და ყველა დაინტერესებულ მხარესთან ორმხრივად მომგებიანი ურთიერთობის ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

უნივერსიტეტში ხარისხის შიდა სისტემა ეფუძნება სამ ძირითად პოლიტიკას:

1. საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - EP-QA;
2. კვლევის განვითარების პოლიტიკა - RE-QA;
3. მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების პოლიტიკა - ME-QA;

საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - EP-QA ხორციელდება სამი პროცედურის საშუალებით:

1. EP-QA 1.1 საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურა;
2. EP-QA 1.2 საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურა;
3. EP-QA 1.3 მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურა.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა, როგორც მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამა ექვემდებარება მესამე პროცედურას და შიდა შეფასება წარიმართა სამ ეტაპად:

I. ცვლილებების განსაზღვრა (იდენტიფიცირება);
II. ცვლილებების შემუშავება;
III. ცვლილებების განხილვა და დამტკიცება.

2018 წლიდან, პროგრამის ხელმძღვანელის ინიციატივით, გააქტიურდა როგორც უცხოელი პროფესორების მიერ საჯარო ლექციების, ისე პროფესიონალი პრაქტიკოსების მიერ (მათ შორის კურსდამთავრებულების მიერ) მასტერკლასების ჩატარება და შემეცნებითი ვიზიტები პარტნიორ ორგანიზაციებში.

საჯარო ლექციები ჩატარდა:

1. ოქტომბერი, 2018 წ - „სადაზღვევო ეთიკა“, რუმინეთის იოან კუზას უნივერსიტეტის პროფესორი

2. ოქტომბერი, 2018 წ. - „რეგიონული განვითარების სტრატეგია“; „კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგია“, ჩეხეთის ჩეხეთის რესპუბლიკის ქ. ზლინის თომას ბატას უნივერსიტეტის პროფესორები

მასტერკლასები:

1. 2018 - „ბიზნესის დაბეგვრის რეჟიმებზე“, საქართველოს შემოსავლების სამსახურის მთავარი აუდიტორი, შპს „ნექსია თი ეი აკადემიის“ ტრენერი აწსუ ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის 2010 წლის კურსდამთავრებული.

2. 2019 წ. - აქტუალური საკითხები სახელმწიფო შესყიდვებში. ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის წარმომადგენლები TBD USAID, G4G.

3. 2019 წ - „სადაზღვევო პროდუქტების ეფექტური გაყიდვა“, სს „თიბისი დაზღვევის“ გაყიდვების მენეჯერი.
4. 2019 წ. – „მეწარმეობა“ საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორი.

წარმოდეგნილი მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის **შიდა შეფასება** მოხდა აწსუ საინჟინრო ტექნოლოგიების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მიერ, რომელმაც პროგრამას გაუწია შემდეგი რჩევები:

- პროგრამის შედეგების მიღწევადობისა და გაზომვადობის მიზნით, დააწესეთ სამიზნე ნიშნულები და ზღვრული ქულები სხვადასხვა აქტივობებისათვის;
- შედგა კურიკულუმის რუკა;
- პროფესორის რჩევები გათვალისწინებულია და ასახულია პროგრამაში და შესაბამის სილაბუსებში.

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აწსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება - 09.02.2018, #49(17/18) https://atsu.edu.ge/index.php/acad-councilseparator/akad-sabcho-dadgenilebebi/2017-2018/49-2017-2018
- აწსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება - 09.02.2018, #49(17/18)
- მემორანდუმები
- ურთიერთდასწრების პოლიტიკა
- გამოკითხვის შედეგები
- აკადემიური მოსწრების ანალიზი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის განმეორებით აკრედიტაციზე წარდგენის შესახებ ინფორმაცია და შედეგები:
ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა განმეორებით აკრედიტაციაზე წარდგენილი იქნა 2018 წლის 11 აპრილს და ექსპერტების ვიზიტი განხორციელდა იმავე წლის 12-13 სექტემბერს.

აკრედიტაციის ექსპერტების რეკომენდაციები:

1. მიზანშეწონილია გასწორდეს პროგრამაში ჩამოყალიბებული კანონმდებლობასთან შეუსაბამო ფრაზა: „თუ სტუდენტმა დამატებით გამოცდაზე მიიღო 0-დან 50 ქულამდე, საბოლოო საგამოცდო უწყისში სტუდენტს უფორმდება შეფასება (F) -0 ქულა.“
2. რეკომენდებულია შეიცვალოს სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობა: „სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე არ დაიშვება თუ კვლევის შედეგები არ აქვს ასახული სამეცნიერო ჟურნალში ან არ მიუღია მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციაში“
3. მიზანშეწონილია, პროგრამაში აღინიშნოს და დაკონკრეტდეს შიდა და გარე მობილობის შესაძლებლობები და მოთხოვნები, რომელშიც გათვალისწინებული იქნება პროგრამის სპეციფიკა და უზრუნველყოფილი იქნება პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაში სასწავლებლად ჩართვა.
4. მიზანშეწონილია მაგისტრატურის საფეხურზე მაქსიმალურად მოკლე პერიოდში მოხდეს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის დანერგვა (ბაკალავრიატის საფეხურზე უკვე 2 წელია ფუნქციონირებს), რაც უზრუნველყოფს ეფექტიან კომუნიკაციას მაგისტრანტებსა და უნივერსიტეტს შორის.
5. რადგან პრაქტიკის და სამაგისტრო ნაშრომის კომპონენტი წარმოდგენილია კონცენტრაციებში, მიზანშეწონილია მათი გადამუშავება კონცენტრაციის სპეციფიკის გათვალისწინებით ან მოხდეს გატანა კონცენტრაციის გარეთ.
6. მიზანშეწონილია დაკონკრეტდეს კონცენტრაციის არჩევის წინაპირობები სასწავლო კურსების სახით.
7. მიზანშეწონილია, პროგრამაში ჩართული იქნას ისეთი სავალდებულო სასწავლო კურსი, როგორიცაა „საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი“ (რაც სტუდენტს მისცემს თანამედროვე საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტში თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებზე სიღრმისეულ ცოდნას).
8. მიზანშეწონილია, გადამუშავდეს სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი და მასში აისახოს საკონტაქტო საათები.
9. მიზანშეწონილია მემორანდუმებში დაკონკრეტდეს პრაქტიკაზე გასაგზავნი კონტინგენტის მოცულობა.
10. მიზანშეწონილია მუდმივად მოხდეს აკადემიური პერსონალის სწავლის შედეგების შეფასებასა და სწავლების თანამედროვე მეთოდებში გადამზადება.
11. უსდ-მ მიზანშეწონილია მუდმივად იზრუნოს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განვითარებაზე.

აკრედიტაციის ექსპერტების რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

1. სასურველია თითოეული სწავლის შედეგისთვის შემუშავებული იყოს სამიზნე ნიშნული, მოხდეს მუდმივი მონიტორინგი და შესაბამისად სამიზნე ნიშნულთან დადარება.
2. სასურველია სხვადასხვა ღონისძიებების შემუშავება მაგისტრანტების ლექციებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე დასწრების მაჩვენებლის გაზრდის კუთხით
3. სასურველია შეთავაზებულ იქნეს არჩევითი სასწავლო კურსი „ლიდერობა“, რომლის საჭიროება დამსაქმებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა.
4. სასურველია მოხდეს სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდების უფრო მეტ სასწავლო კურსებში გამოყენება.
5. სასურველია უსდ-მა/ფაკულტეტმა პერმანენტულად უზრუნველყოს

აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის უცხო ენებში გრძელვადიანი ტრენინგების, სამუშაო შეხვედრებისა და სემინარების შეთავაზება (საკომუნიკაციო დონეზე ფლობის/სამეცნიერო ლიტერატურისა და წყაროების დამუშავების კომპეტენცია და ა.შ.). აღნიშნული ინიციატივა ხელს შეუწყობს უსდ-ს პერსონალის კომპეტენციებისა და უნარების გაღრმავებას, რაც თავის მხრივ შესაძლებლობას მისცემს პროგრამაში ჩართულ პერსონალს მონაწილეობა მიიღოს უფრო მეტ საერთაშორისო კონფერენციებში, გაცვლით პროგრამებში, შეძენილი ცოდნა გაუზიარონ სტუდენტებს და დაგეგმონ ერთობლივი პროექტები.

აკრედიტაციის საბჭო შედგა 2019 წლის 9 იანვარს და სპეციალურად მოწვეული ექსპერტის, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროფესორის რჩევების საფუძველზე (ოქმი 1, 9 იანვარი, 2019 წ), აკრედიტაციის საბჭოს მიერ ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრატურია საგანმანათლებლო პროგრამის მეორე სტანდარტთან „მეტწილად“ შესაბამისობა შეიცვალა „ნაწილობრივ“ შესაბამისობად და პროგრამას მიენიჭა ერთწლიანი პირობითი კარედიტაცია (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საჭოს გადაწყვეტილება #2, 9 იანვარი, 2019 წ.). აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება უნივერსიტეტს გადმოეგზავნა 2019 წლის 19 თებერვალს, 25 თებერვალს შედგა ფაკულტეტის საბჭო, სადაც დამტკიცდა თვითშეფასების განახლებული ჯგუფი.

ამჟამად წარმოდგენილ პროგრამაში სრულად არის ასახული გარე შეფასების რეკომენდაციები და რჩევები, კერძოდ:

1. გაუქმდა პროგრამით გათვალისწინებული კონცენტრაციები და სტრუქტურა ჩამოყალიბდა სავალდებულო და არჩევითი სასწვალო კურსების ბლოკით;
2. პროგრამაში დაკონკრეტდა შიდა და გარე მობილობის შესაძლებლობები და მოთხოვნები, დაემატა ფრაზა *„დასაშვებია სტუდენტთა შიდა და გარე მობილობის წესით ჩარიცხვა, იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ჩაბარებს გამოცდას სპეციალობაში ან/და სხვა უნივერსიტეტში ჩაბარებული აქვს მსგავსი გამოცდა და გაივლის ტესტირებას უცხო ენაში (B2 დონეზე), ან წარმოადგენს აწსუ აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების (№6 (15-16) უცხო ენაში B2 დონის სერტიფიკატის შესაბამისობის სკალის დამტკიცების შესახებ) შესაბამის სერთიფიკატს“;*
3. პროგრამის შედეგები გაიწერა სწავლის სფეროების ახალი კლასიფიკატორის მიხედვით;
4. შემუშავდა კურიკულუმის რუკა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად;
5. სასწვალო კურსები „სამაგისტრო ნაშრომი“, „პროფესიული პრაქტიკა“, „ფინანსური ანალიზი“ და „ოპერაციათა მენეჯმენტი“ არჩევითებიდან გადატანილიქნა სავალდებულო სასწავლო კურსების ბლოკში;
6. სასწავლო კურსის - „პროფესიული პრაქტიკა“- კრედიტების მოცულობა გაიზარდა 5 კრედიტიდან 10 კრედიტამდე;
7. პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების ბლოკს დაემატა სასწვალო კურსი „საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი“ და „მარკეტინგის მენეჯმენტი“;
8. სასწავალო კურსს „ინვესტიციურ მენეჯმენტს“ წინაპირობად განესაზღვრა „ფინანსური მენეჯმენტი“;
9. გაუქმდა სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობა (სტატიის გამოქვეყნება ან კონფერენციაში მონაწილეობის მიღება);
10. გადამუშავდა სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი;
11. 2018 წლის ოქტომბრიდან მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა გააქტიურებულია ელექტრონული დეკანატი პორტალზე;
12. გრძელდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის სხვადასხვა მიმართულებით გადამზადება.

აწსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მოდერნიზებული პროგრამა გარე ექსპერტიზაზე გადააგზავნა თბილისის სახლემწიფო უნიევრსიტეტში და საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში. გარე ექსპერტების რჩევები განხილული იქნა

დეპარტამენტის სხდომებზე და მსჯელობის შედეგად გადაწყდა, რომ რჩევები იყო სამართლიანი და მათი გათვალისწინება პროგრამის ხარისხს მეტად აამაღლებდა. რეაკრედიტაციზე წარმოდგენილ პროგრამაში გარე ექსპერტების რჩევები გათვალისწინებულია და შემუშავებულია პროგრამის განვითარების სამოქმედო გეგმა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N75 19.04.2012; #2 09.01. 2019წ. ○ პროგრამის გარე შეფასება. ○ ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა. ○ პროგრამაში ჩართულ პირთა გამოკითხვის ანალიზი.
რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი და შეფასება მოიცავს ინფორმაციის სისტემურ შეგროვებას, დამუშავებას, ანალიზს და შედეგების შესაბამისი რეკომენდაციების ჩამოყალიბებას. ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის მიზნით ხორციელდებოდა შემდეგი სახის ინფორმაციის სისტემური შეგროვება: • პროგრამაში ჩართული პირების (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული) განვითარების შესახებ; • სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მიერ პროგრამის და ცალკეული

სასწავლო კურსების შეფასების შესახებ; • მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების შესახებ; • ინტერაქტიული მეთოდებით მუშაობის შესახებ. მოპოვებული ინფორმაციის დამუშავებას ახდენს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თანამედროვე ტექნოლოგიების (რაოდენობრივი კვლევის განხორციელებისათვის არსებული პროგრამების - SPSS) გამოყენებით, შედეგებს უგზავნის შესაბამის დეპარტამენტებს განსახილვისა და იმპლიმენტირებისათვის. მონიტორინგის საფუძველზე გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით დეპარტამენტების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები (სასწავლო კურსების მიზნისა და შედეგების შესაბამისობაში მოყვანა, შეფასების მეთოდების და რუბრიკების დახვეწა, პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტების გაძლიერება) ასახული იქნა წარმოდგენილ პროგრამაში. შესაბამისად პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ ურთიერთდასწრების ოქმები; ○ სტუდენტთა და ლექტორთა გამოკითხვის ანალიზები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბიზნესის ადმინისტრირება საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 41

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

რუსუდან სეთურიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები:

თეა კასრაძე

რუსუდან ზაზაძე